



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

8

**ოთხმხრივი ურთიერთობები:
რუსეთი/ევროკავშირი/ნატო/ამერიკა-საქართველო**

იუჯინ კოვანი



ექსპერტის აზრი

2013



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

იუჯინ კობანი

**ოთხმხრივი ურთიერთობები:
რუსეთი/ევროკავშირი/ნატო/ამერიკა-საქართველო**

8

2013



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

მთარგმნელი: რუსუდან მარგიშვილი
ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2013 წელი

ტექსტში წარმოდგენილია არა სტამბოლის კადირ ჰას უნივერსიტეტის საერთაშორისო და ევროპული კვლევის ცენტრის (CIES), არამედ სტატიის ავტორის პირადი შეხედულებები და მოსაზრებები.

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-5763-2

რუსეთი-საქართველო

რამდენადაც აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით რუსეთ-საქართველოს შორის არსებული გაჭიანურებული კონფლიქტი არ მოგვარებულა, რუსეთისა და საქართველოს ბუნდოვანი კონფრონტაციაც გაურკვეველი დროით იწელება. 2008 წლის აგვისტოს ომის დასრულების შემდეგ რუსეთმა გააძლიერა თავისი სამხედრო ძალა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში¹ და ამით მკაფიო შეტყობინება გაუგზავნა საქართველოს მთავრობას: „ჩვენ აქ ვართ და დავრჩებით იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც საჭირო იქნება“ და „ჩვენ შეიძლება რუსეთისათვის ხელსაყრელ დროს ჩავერიოთ საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებში“.

მართალია, საქართველო ესწრაფვის სრულყოფილ დემოკრაციას, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი და მისი მთავრობა არ არიან დაინტერესებული, რომ სიახლოვეს დემოკრატიული ქვეყანა ჰყავდეთ. პრეზიდენტი პუტინი და მისი გარემოცვა დასავლური ტიპის ქვეყანას არასასურველ ფენომენად და სირთულეების წყაროდ მიიჩნევენ და უნდათ, რომ საქართველო თავისი გავლენის სფეროში მოაქციონ. ჩვენ არ გვგონია, რომ რუსეთი უარს იტყვის ამ სურვილებზე.

პრეზიდენტი პუტინი და მისი მთავრობა განაგრძობენ საქართველოს დაშინებისა და კუთხეში მიმწყვდევის თანმიმდევრულ პოლიტიკას, რაც მათი მსოფლმხედველობისა და უსაფრთხოების შესახებ წარმოდგენების შედეგია. თუ საჭირო გახდება, დაშინებისა და კუთხეში მიმწყვდევისა თუ, ასევე, მედიისა და დიპლომატიის ბინძური კამპანიის გამოყენებით საქართველოს ათასნაირ უბედურებაში დაადანაშაულებენ. არ უნდა დაგვაინყდეს, რომ საზღვრების გავლების ახალი პროცესი, რომლის მაგალითიც სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ რუსეთის ჯარის მიერ გაბმული მავთულხლართებია, დაიწყო არა 2013 წლის თებერვალში, არამედ 2011 წლის აპრილ-მაისში.² ეს კარგად აჩვენებს, რა შეიძლება მოხდეს. აღსანიშნავია, რომ საქართველო-რუსეთის საზღვარი არ არის დემარკირებული და, ამდენად, რუსეთი ამ პროცესით თითქოს ავლებს ჯერაც არადემარკირებულ საზღვარს. რუსეთის ახალი ინიციატივა, შეცვალოს ფაქტები, აჩვენებს, რომ პრეზიდენტი პუტინი და მისი მთავრობა ყველა ძალას მიმართავენ, რომ გამოავლინონ და მოსინჯონ საქართველოს თავდაცვის სისტემის ყველაზე სუსტი ადგილები.

2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით დასავლეთის ფართო რეაქციიდან გამომდინარე, პუტინმა და მისმა მთავრო-

ბამ დაასკვნეს, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნები მომავალში საქართველოს ინტერესების დასაცავად სამხედრო ფორმით არ ჩაერევიან კონფლიქტში. პილარი კლინტონის, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, მნიშვნელოვანი განცხადება – „ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და დამოუკიდებლობას და არ ვაღიარებთ სეპარატისტულ რეგიონებს“³ – არ ცვლის რუსეთის პოზიციას. პუტინს და მის გარემოცვას ამგვარი განცხადებები 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ხშირად ესმით და მიეჩვივნენ კიდევ დროდადრო ამის მოსმენას. ჩვენ შევეცდებით ვიმსჯელოთ, რომ ამგვარი განცხადებები უბიძგებენ პუტინსა და მის მთავრობას უფრო ძალისმიერი პოლიტიკა გაატარონ საქართველოს მიმართ. რუსეთში არსებობს მკაფიო წარმოდგენა, რომ იქამდე, სანამ საქართველოს მთავრობა არ გამოხატავს უკმაყოფილებას ან სანამ ეს უკმაყოფილება იგვიანებს, როგორც ეს საზღვრის გავლების პროცესის შემთხვევაშია, ევროკავშირის რეაქცია იქნება რბილი და არაეფექტური.

ევროკავშირი-საქართველო

სანამ ევროკავშირს არ ექნება ჩამოყალიბებული და ერთიანი სამხედრო პოლიტიკა საქართველოს მხარდასაჭერად რუსეთის წინააღმდეგ, მანამ საქართველო დარჩება დაუცველ ქვეყნად და ყოველთვის იქნება რუსეთისგან წამოსული მუქარისა და საფრთხეების სამიზნე.

რუსეთი კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ყველა შესაძლებლობას ეძებს, რომ აჩვენოს, თუ ვინ განაგებს სამხრეთ კავკასიის რეგიონს.

სიმართლე ევროკავშირის სამხედრო შესაძლებლობების შესახებ არცთუ სასიამოვნოა ევროკავშირის წევრებისათვის, მაგრამ ამ სინამდვილეს ვერ გაექცევიან. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გადაჭრით უარყოფილი თავდაცვის ბიუჯეტი არ გაიზრდება მომავალ სამ თუ ხუთ წელიწადში. ევროკავშირის 28 წევრი ქვეყნიდან სამს აქვს სამხედრო შესაძლებლობები და თავდაცვის ბიუჯეტსაც ან ინარჩუნებენ და ან დაახლებით 2 პროცენტით ზრდიან. ეს ქვეყნებია: საფრანგეთი, პოლონეთი და დიდი ბრიტანეთი. ასეა თუ ისე, რაც არ უნდა მოხდეს, ეს სამი ქვეყანა მაინც არ აპირებს საქართველოს სამხედრო მხარდაჭერა გაუწიოს.

არც იმის გარანტია არსებობს, რომ ევროკავშირის პოლიტიკური და დიპლომატიური საშუალებები რაიმე სერიოზულ ზიანს მიაყენებენ რუსეთის ბინძური კამპანიის კარგად ამუშავებულ მექა-

ნიზმსა და კარგად არტიკულირებულ პოლიტიკას. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოლიტიკურად, დიპლომატიურად და სამხედრო თვალსაზრისით ევროკავშირი ვერ დაეხმარება საქართველოს.

ამრიგად, ევროკავშირის ოფიციალური პირები განაგრძობენ საქართველოს დარწმუნებას, რომ გამოასწოროს ურთიერთობები რუსეთთან, საკუთარი თავის საზიანოდაც კი. ამ თვალსაზრისით საქართველოს მთავრობამ კარგად უნდა გაიაზროს, რა ლიმიტი აქვს რუსეთთან ურთიერთობებისას და არ მისდიოს ისეთ პოლიტიკას, რომელიც დააზარალებს საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას. ეს მოითხოვს ფხიზელ ანალიზსა და პოლიტიკასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს. სანამ ევროკავშირის ოფიციალური პირები თავს არიდებენ პრეზიდენტ პუტინისა და მისი მთავრობისათვის მითითებას, რომ გამოასწორონ საქართველოსთან ურთიერთობები, მანამ ამგვარი ცალმხრივი და დაუბალანსებელი პოლიტიკა სიკეთეზე მეტად ავის მომტანი იქნება. შეძლებდნენ კი ევროკავშირის ის ქვეყნები, რომლებიც ასევე არიან ნატოს წევრი ქვეყნები, რაიმე ცვლილებები შეეტანათ სიტუაციაში საქართველოს სასარგებლოდ?

ნატო-საქართველო

მართალია, ნატოს ღია კარის პოლიტიკა და საქართველოს მიმართ მისი კეთილგანწყობა ქებას იმსახურებს, მაგრამ ამგვარ პოლიტიკას ერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლება ხვდება. საქართველოსთვის ამ კარისაკენ მიმავალი გზა რუსეთს აქვს გადაღობილი. რუსეთის ოფიციალურმა პირებმა შეიძლება მთლიანად უარყონ ჩვენი პრეტენზიები და თქვან, რომ რუსეთს არა აქვს ვეტოს უფლება საქართველოს სუვერენულ პოლიტიკაზე. სინამდვილეში კი რუსეთს შეუძლია ფარულად დაადოს ვეტო საქართველოს გადწყვეტილებას შეუერთდეს ნატოს და პრეზიდენტ პუტინს არ ეუხერხულება განაცხადოს: „ნატოს – არა“.

როდესაც ბალტიის ქვეყნები შეუერთდნენ ნატოს, რუსეთის მმართველობამ ეს მშვიდად მიიღო. მაგრამ 2008 წლის აგვისტომ ვითარება შეუქცევადად შეცვალა და ბალტიის ქვეყნების მაგალითი აქ უკვე აღარ გამოდგება. 2008 წლის აგვისტოს კრიზისმა ყველას შეაგნებინა მნიშვნელოვანი გზავნილი, რომ რუსეთისათვის, როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია კავკასიაში თავისი ეროვნული ინტერესები, რადგან ამ ომმა ნატოს მნიშვნელობაც კარგად წარმოაჩინა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პრეზიდენტმა პუტინმა გასაგებად და ერთმნიშვნელოვნად განაცხადა – „არა“. ასევე შეიძლება ითქვას, რომ პუტინს უნდოდა ეთქვა: „თუკი თქვენ, საქართველოში, რუსეთის სურვილის წინააღმდეგ ნახვალთ ნატოსკენ, მოგინევთ

დაითვალთ გვამები“. შესაძლოა, ჩვენი დასკვნები ცოტა ხელოვნურია, მაგრამ მაინც წარმოადგენს ფხიზელ შეფასებას იმისა, თუ როგორ უყურებს პუტინი მოვლენებს. ნატოს არ უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ შეძლებს შეუცვალოს პუტინის მსოფლმხედველობა და აზროვნების სტილი, როგორც ზოგადად, ისე საქართველოსთან მიმართებით.

2008 წლის აგვისტოს ომიდან ხუთი წლის შემდეგ ნატომ საქართველოსთან დაკავშირებულ პოლიტიკაში კრიტიკულ მდგომარეობას მიაღწია. თუკი/როდესაც ნატო გადანყვეტს, რომ მზადაა მხარში დაუდგეს საქართველოს და დაუპირისპირდეს რუსეთს სამხედრო ფორმით, უნდა გაითვალისწინოს სამი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი და ის გრძელვადიანი შედეგები, რასაც ეს ფაქტორები ნატოს მოუტანს. ეს ფაქტორებია: პოლიტიკურ-დიპლომატიური, სამხედრო და, ყველაზე მნიშვნელოვანი, ეკონომიკური, თავდაცვის ეკონომიკის ჩათვლით. რუსეთის შეკავება ასევე ნიშნავს გარკვეულ შემთხვევაში მასთან თავით დატაკებას და არა – თავის არიდებას პირველი შესაძლებლობისას. დღევანდელი ვითარებით ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყნები და თურქეთი, როგორც ევროკავშირის ერთადერთი არანევრი ქვეყანა, ჯერაც დამოკიდებული არიან რუსეთის სანვაზე და არ შეუძლიათ პირდაპირ, სამხედრო ფორმით დაუპირისპირდნენ რუსეთს. შედეგად – ნატო საქართველოს მიმართ ატარებს ღია კარის პოლიტიკას, მაგრამ შიგნით არ შეჰყავს. საქართველოს ნატოში განწევრიანებასთან დაკავშირებით გადანყვეტილება სხვადასხვა მიზეზით ჭიანჭურდება – რომ საჭიროა დამატებითი რეფორმები, ან, როგორც ანდრეს ფოგ რასმუსენმა განაცხადა, საქართველო „სწორ გზაზე დგას“ და „ბევრად დაუახლოვდა ნატოს“, მაგრამ „თქვენ ისევ უნდა აიღოთ თქვენს თავზე ტვირთი და განაგრძოთ საჭირო რეფორმების განხორციელება“.⁴ ეს მოსაზრებები გამუდმებით ისმის საქართველოში და საქართველოს ოფიციალური პირები კარგავენ მოთმინებას, ლამის ხელიც ჩაიქნიონ და იმედი გაუცრუვდეთ ნატოსთან დაკავშირებული მოლოდინის გაურკვევლობით. შეიძლება ქართველი ხალხის დამოკიდებულებაც შეიცვალოს ნატოში განწევრიანებასთან დაკავშირებით.⁵ მართალია, აშშ-მ სამხედრო დახმარება გაუწია საქართველოს, მაგრამ 2009 წლიდან პრეზიდენტ ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკამ გადაინაცვლა სამხრეთ კავკასიიდან. ამ ცვლილებამ საქართველოში შემოფოთება და დაუცველობის შეგრძნება გააჩინა, თითქოს აშშ-მ საქართველო ბედის ანაბარა მიატოვა. შესაძლოა, ამერიკელი მაღალჩინოსნები არ დაეთანხმონ ჩვენს ამ მოსაზრებებს, მაგრამ რეალობა სწორედ ჩვენს ამ თვალთახედვას ადასტურებს.

აშშ-საქართველო

სანამ პრეზიდენტი ობამა თავისი საგარეო პოლიტიკის ვექტორის სამხრეთი კავკასიიდან აფრიკის, აღმოსავლეთ აზიისა და შუა აღმოსავლეთისაკენ გადანაცვლების ერთგული დარჩება, აზრი არა აქვს მცდელობას, რომ ყურადღება კვლავ სამხრეთი კავკასიისაკენ მივაპყრობინოთ. შედეგად, პრეზიდენტი პუტინი თავის თავს ლიდერად აღიქვამს სამხრეთ კავკასიის თამაშში და გრძნობს, რომ ახლა მისი დროა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მომავალი 5-10 წელი შეუძლია პუტინს შეასრულოს თავისი გეგმა სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის, ნატოს თუ აშშ-ის წინააღმდეგობის გარეშე, მიუხედავად რუსეთის საშინაო პრობლემებისა. ჩვენ არ გამოგვიგონია, რომ საქართველოში დაისადგურა დაუცველობის გრძნობამ, რომ ობამას ადმინისტრაციამ საქართველო ბედის ანაბარა მიატოვა და რომ შეიცვალა აშშ-ის პრიორიტეტები, რასაც პუტინი ახლოდან აკვირდება.

დასკვნა

ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ საქართველოს ნამდვილად სჭირდება პარტნიორობა ომის შემთხვევაში. ეს, რა თქმა უნდა, ისეთი სურვილია, რასაც მალე ასრულება არ უწერია. თვით თურქეთიც, საქართველოს მეზობლად მდებარე ქვეყანა, რუსეთ-საქართველოს კონფრონტაციის შემთხვევაში ვერ დაეხმარება საქართველოს სამხედრო ფორმით.⁶

რუსეთი შავი ზღვის რეგიონსა და კავკასიას მხოლოდ თავისი მოქმედების არეალად განიხილავს და არ მოინდომებს იქ მმართველობის ვინმესთან განაწილებას, რასაც შეიძლება ფიქრობდეს ანკარა. ანკარის ეს წარმოდგენები უსაფუძვლოა და არ ემყარება რაიმე რეალისტურ შეფასებას. ჩვენს მოსაზრებებს ამყარებს, მაგალითად, თურქეთის მდუმარე რეაქცია რუსეთ-საქართველოს ომზე 2008 წლის აგვისტოში. როცა საჭიროა, რუსეთი თურქეთის საწინააღმდეგო თამაშს თამაშობს შავი ზღვის რეგიონსა და კავკასიაში. კავკასიაში სტაბილურობისა და თანამშრომლობის პლატფორმასთან (CSCP) დაკავშირებით თურქეთის ინიციატივა, წამოწყებული 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, იმთავითვე არ მოიწონა რუსეთმა და ნელ-ნელა გაქრა კიდეც დღის წესრიგიდან. დღეს მხოლოდ თურქებს თუ ახსოვთ, რომ ასეთი ინიციატივა წამოაყენეს.

ომში პარტნიორობასთან დაკავშირებულ ჩვენს სურვილებს შემდეგ მოსაზრებებსაც დაუერთავდით: საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ „რადიო თავისუფლებასთან“ ინტერ-

ვიუში განაცხადა: „ჩვენ რუსებს ეშმაკობით უნდა ვაჯობოთ“. ჩვენ ვურჩევდით ქართველ კოლეგებსა და ხელისუფალთ, რომ რუსებთან ეშმაკურ პოლიტიკას მიმართონ ან გამოიყენონ რუსული მეთოდი, რასაც „მასკიროვკას“ (ე.ი. შენიღბვა) უწოდებენ. ამასთან, უნდა გავაცნობიეროთ ერთი მნიშვნელოვანი და საკვანძო საკითხი: საქართველო არც დღეს, არც ხვალ და არც სამ თუ ხუთ წელიწადში არ აპირებს შევიდეს ნატოში. ეს დრო საქართველომ უნდა გამოიყენოს და ჩამოაყალიბოს რუსეთისა და ნატოს მიმართ პოლიტიკა. შედეგად ჩვენ ვურჩევდით ჩვენს ქართველ კოლეგებსა და ოფიციალურ პირებს, რომ მიმართონ ორმხრივ პოლიტიკას: პირველი, საქართველოს ხელისუფლებამ ნელ-ნელა შეარბილოს თავისი რიტორიკა, ალიანსში განეწინაურებასთან დაკავშირებით და ნელ-ნელა აგრძობინოს მოსკოვს, რომ საქართველოსთვის მისაღებია თამაშის მოსკოვური წესები. დღევანდელმა მთავრობამ მართალია ზოგადად შეცვალა რიტორიკა, მაგრამ არ შეუცვლია საქართველოს ნატოში გაერთიანებასთან დაკავშირებული პათოსი. საქართველოს მთავრობას უნდა ახსოვდეს, რომ საქმე აქვს ფლიდ და გონიერ კა-გე-ბე-სთან და სხვა ძალოვანი სამინისტროების წარმომადგენლებთან. შესაძლოა, კა-გე-ბე-ს ჩინოსნები ბრმა იყვნენ, მაგრამ არ არიან ყრუ და როგორც პროფიესიონალმა „მუსიკალურმა გუნდმა“, იციან როგორ მოუსმინონ გულისყურით და როგორ განასხვავონ სწორი და მცდარი ბგერები.

ამასთან, საქართველოს მთავრობამ უფრო ინტენსიურად უნდა ითანამშრომლოს ალიანსთან და გააღრმავოს კიდევ ეს თანამშრომლობა. მოგვიანებით საჭიროა ძალიან მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოსა და ნატოს შორის, პრესაში ყოველგვარი ინფორმაციის გასვლის გარეშე. ასეთი პოლიტიკა მოითხოვს არა მხოლოდ ხედვას, არამედ კარგად არტიკულირებულ იდეებსა და ვარიანტებს, თუ როგორ შეიძლება ამგვარი პოლიტიკის უფრო წარმატებითა და გონივრულად გატარება.

ქართველებმა მაგალითი უნდა აიღონ შვედეთისგან, როგორც ის მოიქცა ცივი ომის დროს. შვედეთმა საბჭოთა კავშირში დაინახა მოწინააღმდეგე, რომელიც იკვლევდა შვედეთის თავდაცვის სისტემას ბალტიის ზღვაში. ერთი მხრივ, შვედეთის მთავრობამ საკუთარი თავი წარმოადგინა მშვიდობისმოყვარე, მეგობრულ, ბუნებრივ და არასამხედრო ზრახვების მქონე ქვეყანად, მაგრამ, მეორე მხრივ, გააძლიერა სამხედრო მზადყოფნა ტერიტორიული თავდაცვისათვის, მშპ-ის წლიური 3 პროცენტი ჩადო რა თავდაცვის ბიუჯეტში და შექმნა კარგად აწყობილი სამხედრო მრეწველობა, რომელიც გააფართოვა ცივი ომის ეპოქაში. ამასთან, შვედი

სამხედროები მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა სამშვიდობო ოპერაციაში მთელ მსოფლიოში და ამით დიდი გამოცდილებაც დაიგროვეს. ამის შესახებ შვედმა ხალხმა მხოლოდ ცივი ომის დასრულების შემდეგ გაიგო და მთავრობამ მაშინ განაცხადა, რომ აშშ-სთან სამხედრო თანამშრომლობა ხალხის გამო ხდებოდა.

ამრიგად, ჩვენი რჩევა იქნებოდა საქართველოს ხელისუფლებამ კი არ გაიმეოროს შვედეთის მაგალითი, არამედ გაითვალისწინოს შვედეთის გამოცდილება და ქცევის შვედური სტილის კომპონენტები გამოიყენოს საქართველოში.

გამოყენებული ლიტერატურა

1 დანვრილებით იხ.: Vasili Rukhadze, “Russia Underscores its Military Presence in Georgia’s Breakaway Regions” in *The Jamestown Foundation, Eurasia Daily Monitor*, vol. 10, issue 101: www.jamestown.org/programs/edm/single/?tx_ttnews%5Btt_news%5D=40952&tx_ttnews%5BbackPid%5D=685&no_cache=1#.UdPtDdHJSY – ნანახია 2013 წლის 29 მაისს.

2 დანვრილებით იხ.: www.civil.ge/eng/_print.php?id=26144 – ნანახია 2013 წლის 4 ივნისს. რუსეთის რეაქციის შესახებ იხ.: www.izvestia.ru/news/551762 - ნანახია 2013 წლის 10 ივნისს. იხ. აგრეთვე: Vladimir Socor, “Putin Hints at Normalization with Georgia on Russian Terms” in *The Jamestown Foundation, Eurasia Daily Monitor*, vol. 10, issue 115 იხ.: www.jamestown.org/programs/edm/single/?tx_ttnews%5Btt_news%5D=41033&tx_ttnews%5BbackPid%5D=685&no_cache=1#.UdJAhTtHJSY – ნანახია 2013 წლის 18 ივნისს.

3 www.civil.ge/eng/_print.php?id=24858 – ნანახია 2012 წლის 7 ივნისს. იხ. აგრეთვე Sergei Markedonov, “Lyuboi ne khuzhe” (“Anyone Else is Not Worse”). www.gazeta.ru/comments/2012/10/04_x_4798937.shtml.

4 იხ. აგრეთვე: www.civil.ge/eng/_print.php?id=26217 – online on 27 June 2013.

5 იხ. Vasili Rukhadze, “Latest Georgian Casualties in Afghanistan Spark Unprecedented Public Debate and Doubts about Georgia’s NATO Perspectives”, *The Jamestown Foundation, Eurasia Daily Monitor*, vol. 10, issue 116 იხ.: www.jamestown.org/programs/edm/single/?tx_ttnews%5Btt_news%5D=41041&tx_ttnews%5BbackPid%5D=685&no_cache=1#.UdJltjtHJSY – online on 19 June 2013.

6 Soner Cagaptay, “Turkey Fears Russia too Much to Intervene in Syria” in *The Washington Institute for Near East Policy* იხ.: www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/turkey-fears-russia-too-much-to-intervene-in-syria – ნანახია 2013 წლის 6 მაისს. სონერ ჩაგაპტაის სტატიის სახელწოდება შეიძლება ასე გადაკეთდეს: „თურქეთს იმდენად ეშინია რუსეთის, რომ მხარს არ უჭერს საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ“.